კვირა, 27 ივლისი 1914 წ. ფასი 5 კაპ.

„მათრახი“ გამოდის კვირაში ერთხელ. წლიურად ღირს გაგზავნით 2—50. ნახევარი წლით 1—50. წერილები და ფული გამოგზავნება შემდეგ ადრესზე: Тифлисъ, Типографія „Шрома“, Теофилу Болквадзе.

იმ ადგილებში, სადაც ჩვენი ჟურნალი არ მიდის, მსურველთ გაეგზავნება გასასყიდათ ფოსტით რამდენსაც მოითხოვს. თითო ცალი დაეთმობა 3½ კაპეიკათ. ფულის გამოგზავნა წინ და წინ არის საჭირო.

რედაქციისაგან

დადგა საზარელი წუთი... ჰაერში სისხლისა და თოფის წამლის სუნი ტრიალებს... დღეს არა ხვალ თოფ - ზარბაზნების ჭექა - ქუხილი მთელ სამყაროს შეარყევს. სიცილის დრო წავიდა. ჩვენ აღარ გვეცინება არც ჩვენი მკითხველები იქნებიან სიცილის გუნებაზე. ამიტომ დღეიდან ჩვენი ჟურნალი სერიოზულ სახეს, ღებულობს, (სულ მთლად სახე ჩამომტირალე არ იქნება, დრო და დრო კიდეც გაიცინებს) ის უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს დღევანდელს მდგომარეობას, მიაწვდის, თავის მკითხველებს სწორე და ვრცელ ცნობებს ომის შესახებ. შემდეგ ნომერში ჩვენ მოვათავსებთ მთელი ევროპის ვრცელ რუქას და აღვნიშნავთ დღევანდელ ომის წარმოშობის ისტორიას და როცა დადგება ისევ სიცილის დრო, თუ ცოცხლები დავრჩით ისევ გავიცინოთ.

ჟან-ჟორესი

19 ივლისს 1914 წელს ვერაგულად მოჰკლეს პარიჟში.

დადუმდა ენა მეტყველი... შესწყდა აზრი ღრმა, კეთილშობილი და მთელი მშრომელი ხალხის მალამო, შეჩერდა მთელი კაცობრიობის სიყვარულით გამსჭვალული გულის ძგერა... 19 ივლისს პარიჟში, რესტორანში, სადილობის დროს ვიღაცის მურტალმა ხელმა ორის ტყვიით შუბლი შეუნგრია ჟან-ჟორესს... მოჰკლა... სამუდამოთ დაახუჭვინა თვალები.. ვინც სრულიად გაუნათლებელი არ არის, ცოტათი გაცნობილია მსოფლიო ისტორიასთან, თვალ-ყურს ადევნებს ჟურნალ გაზეთებს, ცოტათი მაინც დაინტერესებული სხვა ერების ცხოვრებით მას უთუოთ ეცოდინება ვინც იყო ჟორესი. 19 ივლისი საფრანგეთისთვის უბედური დღეა. ამ დღეს მან დაჰკარგა საუკეთესო მამულიშვილი, თავის ერის, მუშათა კლასის და მთელი კაცობრიობისთვის თავდადებული ადამიანი. ამ უბედურ დღეს ჟან-ჟორესი რესტორანში იჯდა თავის მეგობრებთან ერთად და სადილს შექცეოდა, განა წარმოიდგენდა როდისმე, რომ მისკენ ვინმე მტრულ ხელს გაიშვერდა?! მაგრამ... ვიღაც უგუნურმა ნელა ვადასწია ფარდა, მიუშვირა მურტალი ხელით რევოლვერი მის სპეტაკ ფართე შუბლს და ზედი-ზედ ორი ტყვია მიაჭედა. ჟორესი წამსვე გარდაიცვალა. საზიზღარი მკვლელი დაიჭირეს ის აღმოჩნდა რაულ ვილლენი, 29 წლის. რეიმსის სამოქალაქო სასამართლოს მდივნის შვილი. რამ აიძულა ეს ყოვლად უმგზავსი ადამიანი ასეთი საქვეყნო ბოროტება ჩაედინა — არავინ იცის, ჟორესის სიკვდილის მიზეზი დიდი საკითხია და ეჭვს გარეშეა დღეს თუ არა ხვალ მას ნათელი მოეფინა.

ჟორესი.

ჟორესი დაიბადა 1859 წელს. განათლება მიიღო უმაღლეს ნორმალურ სკოლაში, სადაც სპეციალურად შეისწავლა ფილოსოფია. 1881—1885 წ. ფილოსოფიის პროფესორად იყო ალიბსა და ტულუზაში; 1885—1889 წ. პარლამენტის წევრი იყო; როგორც დამოუკიდებელი რესპუბლიკელი. 1885—1892 წლ. ხელახლა პროფესორობა დაიწყო და ამ დროს მიემხრო სოციალიზმს. 1893—98 წლ. ისევ დეპუტატი, ხდება როგორც სოციალისტი. 1899 წელს მისი მეთაურობით მოხდა საფრანგეთის სოციალისტების გაერთიანება. ხოლო მილიერანის ვალ-

დეკ-რუსოს კაბინეტში შესვლამ გამოიწვია ზოგიერთი სოციალისტის გამოყოფა 1901—02 წლ., მაგრამ ჟორესთან დარჩა სოციალისტებას სამი-მეოთხედი. 1905 წელს მოხდა ყველა ფრაქციის შეერთება. ჟორესის კალამს ეკუთვნის მრავალი ლიტერატურული შრომა—ფილოსოფიური, ისტორიული თუ სხვა. ბოლო დროს სცემდე საკუთარ სოციალისტურ გაზეთს „ლ'ჰუმანიტეს“.

ᲝᲛᲘ.

დიდი ხანი არ არის და ყველას ეხსოვება ბალკანეთის პატარა სახელმწიფოების და ოსმალეთის ომი. პატარა სახელმწიფოები—ბულგარეთი, ჩერნოგორია, საბერძნეთი და სერბია, მჭიდროთ შეკავშირებული თავგანწირვით ებრძოდა ოსმალეთს და დაამარცხა კიდეც. ამ ომის დროს მოსაზღვრე დიდ სახელმწიფოს ავსტრო-უნგრეთს მოუსვენრობა ეტყობოდა, დრო საუკეთესო იყო და შესაძლო იყო ერთი ჩარევით დიდი ლუკმა ეშოვნა, მას სწყუროდა რომელიმე პატარა სახელმწიფოს და უმეტესათ სერბიის გაგლეჯა და თვის პროვინციათ გარდაქმნა, მაგრამ ყოველად უმიზეზოდ ომში ჩარევა და იარაღის ხელში აღება საერთაშორისო კანონის დარღვევა იქნებოდა და ეს მაშინ ვერ ჩაიდინა ავსტრო-უნგრეთმა. მას შემდეგ ვეღარ ისვენებდა, ეძებდა დროს და მიზეზს, რომ დიდხნის განზრახვა სისრულეში მოეყვანა და აი მიზეზიც გაუჩნდა. ქ. სარაევოში ივნისში მოჰკლეს ავსტრო-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე თავის ცოლით. ეს საკმარისი იყო ავსტრო-უნგრეთის მთავრობისთვის, რომ მიზეზი ეშოვნა და პატარა სერბიის განადგურების გზას დასდგომოდა. ავსტრო-უნგრეთის მთავრობამ ეს მკვლელობა ხელზე დაიხვია, ის სერბიელებს დაბრალა, თითქო მათ მოეკლათ მემკვიდრე და ისეთი მოთხოვნები წაუყენა, რომლითაც მოსპო, მიწასთან გაასწორა სერბიის დამოუკიდებლობა და ამ გვარათ ფაქტიურად ის ავსტრო-უნგრეთის ყურ-მოჭრილ ყმად გახადა. ან ჩემი მოთხოვნები აასრულე ან მეომე — გადაჭრით მოითხოვა ავსტრო-უნგრეთმა. რამდენათაც შესაძლებელი იყო და რამდენათ ეს მოთხოვნები არ სპობდა მას როგორც სახელმწიფოს და მის დამოუკიდებლობას, სერბიამ დააკმაყოფილა, მაგრამ ამას ავსტრო-უნგრეთი არ დასჯერდა და იარაღით ხელში მიადგა სერბიის სატახტო ქალაქ ბელგრადს და ზარბაზნები დაუშინა. ავსტრო-უნგრეთმა, ამ ვეება სახელმწიფომ ომი გამოუცხადა პატარა სერბიას. სერბიელებიც გულ-ხელ დაკრეფილი არ იქნებოდნ და ომი უკვე დაიწყო. ამ გარემოებას, რასაკვირველია, ყურადღება მიაქცია რუსეთმა, მას არ შეეძლო ასეთ ძალმომრეობისათვის პასუხი არ გაეცა, მას არ შეეძლო ერთმორწმუნე სერბიელებისთვის მხარი არ დაეჭირა და მათ დასაცავათ ხმა არ ამოეღო, ამას მოითხოვდა მისი ინტერესები. და აი ჯერ კიდევ ომის გამოცხადებამდე რუსეთის მთავრობამ აცნობა ავსტრო-უნგრეთის მთავრობას, რომ მის მიერ სერბიისადმი წამოყენებული მოთხოვნები მეტად სასტიკია და თუ ავსტრო-უნგრეთი თავისას არ დაიშლის, მას არ შეუძლია ყველა ამას გულგრილად უყურეროს. ამავე დროს რუსეთი ცდილობდა მორიგებით გათავებულიყო საქმე. მაგრამ 10 ივლისს ავსტრო-უნგრეთმა ომი გამოუცხადა და კიდეც მიადგა სერბიას. რუსეთის მთავრობამ, რაკი მორიგებით ვერ გააწყო რა თავის საქმეს შეუდგა და მცირე მობილიზაცია მოახდინა ჯარების. ეს გერმანიას არ ეპაშნიკა და მოულოდნელათ მოსთხოვა რუსეთს შეეჩერებინა ჯარების შეკრება. რაკი მოთხოვნა არ შეუსრულეს 19 ივლისს ოფიციალურად გამოუცხადა ომი.

ასეთია დღევანდელი მდგომარეობა. პირის პირ დგანან ავსტრო-უნგრეთ-გერმანია და რუსეთი-საფრანგეთი და ინგლისი. ჯერ სიჩუმეა. მაგრამ პირველი თოფის ხმა ამცნობს მთელ ქვეყანას, რომ სისხლის ნიაღვარი წალეკავს მთელ ევროპას.

როგორც უკანასკნელმა დეპეშებმა გვამცნეს ინგლისი უკვე რუსეთს მიემხრო და გერმანიას ომი გამოუცხადა. ამ გვარათ ბრძოლის ველზე ერთმანეთის შესაქმელად გამზადებული ხუთი ფაფარ აყრილი ლომი სდგას—სამი ორის წინააღმდეგ.

ვნახოთ რას გვეტყვის ხვალინდელი დღე.

დ ნ

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲔᲠᲑᲘᲐ.

ავსტრიამ უთხრა სერბიას:
„გაგსრესავ როგორც ჭიაო,
მე შენი სისხლი მწყურია,
მე შენი ხორცი მშიაო.
რასაცა მოგთხოვ სუყველა
თუ რომ არ მოგიციაო—
მოვდივარ ჩემის ლაშქარით,
(მზათა მყავს მილიციაო).
თავხედა ტერორისტები
აგრე რო აგიშვიაო
მემკვიდრის სიკვდილს განანებ
მე თუ ავსტრია მქვიაო.
შენს ქალაქს გაანადგურებს
ჩემი ზარბაზნის ტყვიაო
და მაშინ ნახავ ვინცა ვარ
ჯერ თუ არ შეგიტყვიაო“.

—

სერბიამ უთხრა: „გეთაყვა,
რათ იქებ აგრე თავსაო!
სამაგიეროს მოგიძღვნით
თუ რომ ჩაიდენ ავსაო.
ნურც ეგრე სუსტად მიგულებ
კარგი დამხმარე მყავსაო,
მე რომ დამჩაგრო, იგი შენ
ზურგზე აგაძრობს ტყავსაო.
განათლებული ხალხია
(ზოგ-ზოგებს კი აო გავსაო),
ვისაც შეამჩნევს ურჩობას
არავის დაზოგავსაო.
მთელი ხმელეთი მისია,
(ზღვაშიც აცურებს ნავსაო)
და ჩემი მტრების დედასა
ყველას ჩააცმევს შავსაო“.

—

ავსტრიამ უთხრა: „დამხმარე
მეცა მყავს გერმანიაო,
მისი იმედი რაკი მაქვს
მიტომ არ მეშინიაო.
ზღვაშიც კარგია, ხმელეთზეც,
თუ ხელი გაიქნიაო,
მაშინ შენც იგრძნობ მის ძალას
ჯერ თუ არ გაგიცნიაო“.

—

სერბიამ უთხრა: „ავსტრიავ!
ყური მეც მიგდე ერთიო,
გერმანიამ რომ გიშველოს
სულ გაგიწყრება ღმერთიო.
მაშინ ჩვენს მხარეს გადმოვა—
ინგლისი საფრანგეთიო
და იმდენს მოგდებს ქეჩოში
ვერც-კი დათვალო რეთიო“.

—

სერბიის გულადობაზე
მეტად განრისხდა ავსტრია,
ბელგრადის ქალაქს მიადგა
საზღვრები შემოამტრია!..
დამხთური უკან იჩოჩებს,
მაგრამ მოელის შველასა,
დამხმარეც მზადებაშია
(მოეხსენება ყველასა).

სჩანს რომა კაცობრიობა
რაღაც ხიფათში გაება!..
ქვეყანა მგლოვიარეა—
ისმის კვნესა და ვაება.
ერთმანეთისა საქლეტად
ყველამ მახვილი გალესა!..
დღეს იმას ვერავინ იტყვის
რა დღე მოჰყვება ხვალესა.

მათრახოსანი.

პროვინციელი მოღვაწეები

(დასასრული, იხ. „მათრახი“ № 26.)

ნიკოკის ვაჟკაცობა (სიწყაბუკე).

ნიკოკის სასახელოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ის თავის სოფელს თავის ნებით არასოდეს არ გაშორებია. ცხადია მისი ნიჭისა და გავლენის მეოხებით მას შეეძლო თუ სხვაგან საგუბერნიო ქალაქში მაინც ეცხოვრა, მაგრამ მას ძლიერ უყვარს თავისი სოფელი და სულ იმის ცდაშია, როგორმე **მის ჭკვაზე** მოიყვანოს თუ მთელი გურულები არა, მისი სოფლის მცხოვრებნი მაინც. მთელი თავისი სიჭაბუკე სულ ამ აზრის განხორციელებას შეალია, მაგრამ „სოფელმა იგი მაინც ვერ იცნო“ და ღირსეულად ვერ დააფასა. მის მოღვაწეობას მიხვდნენ მხოლოდ ცხრ ას ხუთში და მოწიწებით მოახსენეს: თქვენ ჩვენში ყოფნა, გლეხებში არ გეკადრება, დაგღალა ჩვენთვის ზრუნვამ და აწი დროა ქალაქში, დიდ კაცებთან დიდ კაცურად მოისვენეო.

ნიკოკის ეს არაფრად ესიამოვნა, ბევრ ყაზილარს გაციმბირებაც დაპირდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს (უფრო კი ერთ ბნელ ღამეს) ოზურგეთში დაბანაკდა თავის ჯალაბობით.*) მართლა რაკი ჯალაბი (ცოლშვილს მოგახსენებთ და არა გურულ ჯალაბობას რაიცა ნიკოკის არაფრით არ დაუმსახურია) ვახსენეთ ბარემ მაგის შესახებაც ახლავე ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ნიკოკიმ ოჯახობას მოგვიანებით შეუდგა ესე იგი, მხოლოდ მერმე დაიდგა თავზედ ოფიციალური გვირგვინი, როცა უკვე მის მოკლე წვერს ჭაღარა შეერია. ის ამ დროს ჩინიანი იყო და გვარიანი მოწყობილიც: ლიხაურში საკუთარი სახლი და მამული ოზურგეთშიაც მოქალაქეთ ითვლებოდა და აქაც მისი სახლი ერთ საუკეთესო სასახლეთ ითვლება.

თუ საიდან შეიძინა ნიკოკიმ საკმაო ქონება და საშავ-დღეო 13 ათასი მანეთი (ეს მის ავათ-ყოფობის დროს გამოჩნდა) ზოგი ნათელია და ზოგი საიდუმლოებით არის მოცული. სიმართლე მოგახსენოთ ნიკოკი გამრჯე, ბეჯითი და დაუზარებელი გახლავთ, ეს ისეთი კაცია რომელზედაც იტყვიან **ყველაფერს იკადრებსო**. რა არ გამოუცდია ნიკოკის მის მოსწრებაში: მოურავათაც იყო, კონვოის აფიცერიც იყო, მიროვოი პოსრედნიკიც ბრძანდებოდა და ყველა ამ სხვა და-სხვა თანამდებობის დროს დიდი მოჭახრაკებული დალალიც იყო, მისებრი შვაკაცობა და საქმის გარიგება ძნელად რომ ვინმემ შესძლოს. ცხადია ნადალალევის წილს ორივე მხრიდან ზორბათ იღებდა (რადგან მცირე საქმეს ის არ მოკიდებდა ხელს) მისი შვაკაცობით ბევრი კაცი გადარჩენია ციმბირს, ვიატკას, სამი თვის ციხეს და სხვა. სადალალო საქმეს თვითონაც კარგად გამონახავდა. მაგალითად ჩვენ ვიცით (და ვინ არ იცის მხოლოდ ჩუმათ არიან) რომ მან ნადალალევი ვაჭარი ალექსანდრე დოლიძეს აიღო 600 მანეთი და ერთი სამოსახლო მიწის (ქალაქის) ნახევარი. ეს იყო ჟამსა მისი პოსრედნიკობისა და იმ დროს როცა გურიის „ჟამათ“ მოვლინებული იყო ტოლმაჩოვი. მოხუცი ვაჭარი კრილოვის ცეცხლს გადურჩა, მაგრამ ყალილა იქ აუტეხეს საცა სულ არ მოელოდა: დოლიძეს მისდა საუბედუროთ ნიკოკის მახლობლათ ერთი სამოსახლო მიწა ჰქონდა ნიკოკის ეზოს გასაფართოებლათ და ახალი სახლის დასადგმელათ კარგად ეგუებოდა. მაგრამ სხვა დროს ნიკოკი მის ხელში ჩაგდებას ვერ ბედავდა და აი როცა გამარჯვება ნიკოკის და მის თანამოაზრეებს არგუნა ბედმა მაშინ დოლიძესაც, ამ დღიან ღამიან ლოცვაზე და გამდიდრებაზე მზრუნავ მოხუცსაც უჩვენეს ციხის კარები, ისიც რევოლიუციონერად მონათლეს და ვიატკაში გადასახლება მიუსაჯეს. მაგრამ „ძაღლი ვინც დაახრჩო იმანვე გადაათარია“ ისევ ნიკოკიმ უშველა და გასამრჯელოც ასწავნა.

ეს ერთი და სხვა ათასი მაგრამ სანიმუშოთ ეგეც კმარა.

ნიკოკის ჩინოვნიკობა

ვინ იფიქრებდა თუ ნიკოკის ჩინოვნიკობა ეღირსებოდა და ისიც ისეთი საპატიო, როგორიც არის მომრიგებელი შვამავლობა (ქართულად მიროვოი პოსრედნიკობა) მაგრამ ეგეც მოხდა. ეს იყო თავ. ორბელიანის გუბერნატორობის დროს. მსგავსი კურიოზები ხშირი იყო წინადაც. მაგალითად ჩვენ ვიცით რომ სასახლის მახარას თავადი ასაჩუქრე-

*) აქ იმ დროებით მის გარდა სხვებიც ბევრი იყო ბესტში ჩამჯდარი.

ბდა ერთი გაცინების გულისათვის, (თუ გინდ გაიხსენეთ სალუქვაძის გააზნაურება) მაგრამ თუ გუბერნატორი (თუ გინდ თავადი, ამას ინებებდა არ გვეგონა.

როცა ორბელიანი ქუთაის ესტუმრა ბრძანებლად. როგორც ყველა თავადის ნაცნობი, ნიკოკიც იახლა. თავადმა მოიკითხა და რადგან ნიკოკის რუსულის ამბავი იცოდა რუსულად შესთავაზა დაბრძანდით.

—Ничаго вашу сятелъству я пешкомъ стою,

მოახსენა ნიკოკიმ. თავადს გაეცინა და გუბენატრიდან ნიკოკი მიროვოი პოსრედნიკათ გამობრძანდა. აქედან იწყება ნიკოკის მოღვაწეობის ახლი ხანა. ის არ დაყაბულდა მარტო მის თანამდებობას და გულ-მოდგინეთ ემსახურებოდა ტოლმაჩოვს. ის ყოველთვის ცხენზე ზის და კაზაკების თანხლებით ყველა ყრილობას ესწრება, ყველგან ავრცელებს შიშსა და ძრწოლას, იჭირავს საეჭვო პირებს (უფრო ფულის მხრით) და შემდეგ თვითონვე შვაკაცობს. აი სწორედ აქ ასრულებს ის თავის მოვალეობას მომრიგებელ შვამავალისას და ზოგჯერ მოსამართლისასაც.

ერთი დრო არავის შერჩება.

წააბრძანეს ტოლმაჩოვი, დაინიშნა სლოვოჩინსკი. „მოვიდა სომეხი მოიტანა სხვა მეხი“ და ეს მეხი ნიკოკისაც მოხვდა—ის გადაიყვანეს რაჭაში, მაგრამ უცხო ადგილას სამსახური მისთვის ძნელი იყო. ამიტომ მოინდომა ნივთიერად უზრუნველყოფა: ჩაწოვიდა ოზურგეთში მოაჭახრაკა საქმე ისე, რომ მისი სახლი უნდა დამწვარიყო და ეს დაბრალდებოდა ჯანყ გურულებს და ნიკოკი ეგზეკუციით ლირებულზე ათჯერ მეტს აიღებდა. საბედნიეროთ (არა ნიკოკის) დაიწვა მარტო სამზარეულო სახლის (ქართულად „ქუხნის“) ნაწილი, რომელიც ნიკოკიმ ქუთაისში გუბენატარს „ტრიცატ ტისიჩუმათ“ შეუფასა. გუბენატორმა საქმე თვით გამოიძია და ნიკოკი ჩინოვნიკობას გამოეთხოვა.

ნიკოკის დარდიმანდრბა.

მიუხედავად ხანში შესულობისა ნიკოკი ახლაც დარდიმანდი გახლავთ და თქვენ იფიქრეთ რა იქნებოდა სიჭაბუკეში, როცა მისი სისხლი მაჭარი იყო. ამბობენ, რომ მის მოსწრებაში ძლიერ ბევრი ვაჟკაცი მიუბეგვია ნიკოკისო, მაგალითად სვანეთის თავადს აფიცერ გარდაფხაძეს ისე სცემა თურმე რომ სამ დღეს ნიკოკი ლოგინიდან არ ამდგარა.

ეს ამბავი მშვენივრად აქვს გალექსილს ნიჭიერ ქალს ატატო ბებურიშვილის ასულს, და ჩვენ დიდათ ვწუხვართ, რომ ის ლექსი სამერმისოდ შემოვინახეთ.

სხვათა შორის ნიკოკი დიდ დარდიმანდობას იჩენს სათავად-აზნაურო კრებებზე, ის ყოველთვის ოპოზიციაში, ყველას არცხვენს რომ კრებაზე ქართულად არ ლაპარაკობენ, თვითონ კი მაშინვე ააჭრელებს საუბარს და მისი საუბარი არც ქართულია და არც რუსული.

— ადინ სლოვომ ია ვამ სკაჟუმ დიდი სირცვილია ჩვენთვის რომ ჩვენ ამდენი აბროზუანი კნიაზები და აზნაურები ქართულად არ ვლაპარაკობთ.

სრული რომ დარჩეს ნიკოკის „პოსლუჟნი“ სპისოკი ბარემ მოვიხსენებთ რომ ის ერთ დროს (კაცის გვალვა რომ იყო) ოზურგეთის ხმოსანიც იყო. ოზურგლებისთანა უმადური არავინ არის თორემ ის ნამდვილი სახმოსნოა და საუკუნოდაც უნდა აერჩიათ. ქალაქის კეთილდღეობისთვის დიდათ ზრუნავს. წარსულ წელს როცა ის და მისიანები ყველა გაამავეს (თუ მოეწყობათ გაშავება) ნიკოკი დიდათ განრისხდა და ყველა ახლად არჩეულ ხმოსნებს ყაზილარი უწოდა. სამაგიეროთ, როცა ქალაქის აფთეკა აკურთხეს ნიკოკი თამადათ მიიწვიეს. ცხადია ახლა, როცა ოზურგეთის ქალაქის აფთეკა დაიხურა მეორე სადილს ნიკოკი ვასილ ხუნდაძისას მიირთმევს და ხმოსან ყაზილარებს იქაც თავისებურად შეუკურთხებს.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ რომ ნიკოკი ხშირად ადვოკატობასაც კისრულობდა თავისი მშვენიერი რუსულით.

— Господинъ мировой судя онъ болше взялъ ვიდრე следовало ასეთებს მისგან ხშირად გაიგონებ და საზოგადოთ მისი „პერევოჩიკობა“ და сорокъ такихъ და სხვები განთქმულია.

რწმენით ნიკოკი მოგახსენებს რომ ნამდვილი სოციალ დემოკრატია. მის პარტიაში შედიან: . . . .
. . . .
მაგრამ სჯობს ისინი აქ არ ჩამოვთვალოთ, არამედ თითო თითო რიგისაებრ მოვყვეთ და შემდეგში ჩავაფათრეთოთ.

ნიკოკი ჯერ ჯარმაგათ არის, წარსულ წელს მესამე ხელ გაიტანა ფილტვის ანთება და სრული იმედია მის მოღვაწეობას კიდევ მხნეთ განაგრძობს.

ვასი-ვარადაიო.

მესტვირული

ს. კახურისთვის (გურია).

ვერ მოვითმინე, არ იქნა,
კიდევ ავილე სტვირია;
ნურც გამიმტყუნებთ, მე ხალხის
სიბეჩავესა ვსტირია.
ჩვენში ერთგულსა სოფლისას
წამლათ ვერ ნახავთ, —ძვირია.
გამოფხიზლდით-თქვა, ნუ გძინავთ,

მუდამ ამასა ვყვირია,—
არვინ არ არის გამგონე,
წინააღმდეგი ხშირია;
სცდილობენ სოფლის წინ სვლასა
გამოუთხარონ ძირია...
აქეთ შიმშილი გვაწუხებს,
იქით ათასი ჭირია;
გადასახადი - ბეგარა,
ხან სბორჩიკი და გზირია.
წელზე ფეხს ვიდგამთ, შრომაში
სიცოცხლე ჩაგვიძირია
და მაინც ვკვდებით შიმშილით,
კუჭს ვერ გაუქრეთ ჭირია.
მჭადს ვიღა ჩივა, ის ჩვენში,
ვით მარგალიტი, ძვირია;
წყალიც არა გვაქვს სასმელი,
სიცხით გვიშრება პირია...
წყლის გამოყვანა გვინდოდა
„ნატანებს“ ვსთხოვეთ სეხსათა.—
ამოვირჩიეთ კაცები
ამ საქმის ხელმძღვანელათა.
ლევარსამ, თავი კაცია,
დღეს რომ გვიცქერის ცერათა;
(სიმდიდრე შეუძენია
რაღაც ეშმაკის ხელ ათა).
ამ საქმეშიაც, ვით სხვებში,
მოგვიდგა ერთობ მტერათა.
ფული მობოჭა სოფლიდან
მან წყალის საყიდელათა,—
აღარც წყალი სჩანს (და ფულიც
თუ ჩაძვრა კუჭის ხვრელათა?!)
ეს ხრიკიანი ერმალო
გვერდში მოუდგა მცველათა.—
ნასტარშინალი ერმალო
ერთი ღარიბი გლეხია;
სიმართლის გზაზე არა დროს
მას არ დაუდგამს ფეხია.
სტარშინობის დროს ბევრისთვის
„საქანქრე გაუხეხია“;
გამათრახება მას ჩვენი
ბევრჯელა დაუკვეხია.
რომ ჰკითხოთ,— ვითომ უმანკოს
ჭიაც არ გაუწნეხია.—
(რისხავდეს ღმერთი ბოროტსა
თავზე დაატყდეს მეხია).
და ეხლაც მტრულათ გადადგა
ეგ მოსატეხი ფეხია;
მაგნაირს მრუდს და ორპირსა
კისერიც მოუტეხია...
რაც რომ დავიწყეთ ეგ საქმე,
მის შემდეგ ათი წელია,—
თხრილებიც დავახაზირეთ,
შრომით ვიწყვიტეთ წელია,
რაც ტანჯვა გამოვიარეთ,
აწერა სწორეთ ძველია,
მაგრამ ჯერ კიდევ არა სჩანს,
რაც ჩვენთვის სანატრელია.—
ეს დაღრეკილი მიხელა,
ეს გაიძვერა მელია,
მუდამ ცულლუტი, უპირო,
საერთო საქმის მშლელია.
(რაც წყალი გაიყვანება,
თუნდ ნატანები მთელია;
ყველა მას უნდა საკუთრათ,
ვითომ და დიდი მსმელია!)
აქაც ჩაურთო ჩამშლელი
მან გასახმობი ხელია
და წყალი ჯერეც შორს არის,—
ვაი, გვიშრება ყელია.
სხვებიც ბევრი ჰყავს ჩვენს სოფელს
კუპრ-ცეცხლში დასაწველია;
მაგრამ ვაი, თუ რომ თქმისათვის,
გამათრევინონ წელია.—
ვისაც კი ძალუძს სოფელსა
მისცენ რამ სარგებელია;
ნუ ზარმაცობენ,—ეცადონ
გაჰფანტონ წყვდიად-ბნელია.
ვურჩევ მიხედონ სოფელსა,
ხალხს გაუმაგრონ წელია;
თორეშ მოხვდებათ მათრახი
ზურგისა ასაწველია...

კახურის სოფლის გზებზედა
მტერმაც ნუ ნახოს მგზავრია.
გაივლის კაცი ფეხითა,
თუ კი ჯანზედა არია —
და ვისაც ღონე არ ერჩის,
ის დაიტირეთ,—მკვდარია;
ან დაიხრჩობა ტალახში,
სიცოცხლით განამწარია;
ან თავს გაუტეხს, ღობეზე
კონწიალის დროს, სარია.—
ვცდილობთ ჩვენ გაკეთებისთვის,
შრომა არ დაგვიზარია,
მაგრამ შემშლელი ხელისა
ჩვენ'ში კი ერთობ ჯარია!
იმათთვის გზები სოფლისა
არც ისე მოსახმარია,—
(ბოროტ სულისთვის ავდარშიც
მუდამ მზიანი დარია).
რაცა დაგვიხნავს ჩვენ წალმა,
უკუღმა დაუბარია
და ჩვენი ტანჯვით ბოროტსა
ბევრხელა გაუხარია...
შრომაში სულს ვლევთ, შუბლი-
დან
ოფლი გვდის, როგორც წყალია;
ღმერთო მოგვაპყარ დაჩაგრულთ
შენი მოწყარე თვალია
მოგვმადლე შვება სულისა
და ცხოვრებისა წყალია;
დაგვიხსენ ბოროტ სულთაგან.
მოგვეც ღონე და ძალია,
რომ გაუმკლავდეთ მავნე პირთ,—
მათ დაუყენე თვალია,—
ტანჯვაში რომ ვლევთ სიცოცხლეს,
რა გვაქვს უფალო ბრალია,
უმწეო დაჩაგრულებზე
შენც ხომ არა ხარ მწყრალია?!
ჩვენთვის სიავის მდომელსა
დაემსოს ორივ თვალია! ..

ბერი ქედანი.

კურტანს ქვეშ.

ზურგზე კურტანი
კურტანს ზევით ტვირთი მდიდრის,
ოფლში დღეს ტანი,
ოშხივარი ასდის სიმწარის.
ორიოდ გროში,
რომ აიღოს პატრონისგან;
მით მწარე დროში,
თავი იხსნას შიმშილისაგან.
მიდის მდიდარი,
მისდევს უკან მუშა საწყალი;
ამბობს გულ მკვდარი:
—სად არს ბედი ან სამართალი?
ორ შაურს მომცემს,
ოფლს თუმნისას დამაღვრევინებს;
უთხრა რამე მცემს,
ვისაც არაყს დაალევინებს!
არ ვიმუშაო?
სად წავიდე, რომელს მივმართო,
ცხოვრებავ, შაო,
დაუნდობო და უკუღმართო,
როდემდის უნდა,
ამ კურტანს ქვეშ ასე მაწვალო,
გინდა ტანჯული,
სული მალე ამომაცალო?
მუშებო... მუშავ...“
გაიგონა, შეკრთა მდიდარი:
—ჰეი რას როშავ,
ჩემი სახლი კიდევ შორს არი“!

მიდის, ის მისდევს
და არ იცის სად გაჩერდება,
სიმწრით სულსა ლევს,
ოფლიან გულს ცეცხლი ედება.
ხან ტვირთს ისწორებს
ხანა კვნესის, ხან კი საწყალი,
გაიმეორებს
სად არს ბედი ან სამართალი?!

ვ. აბრამიძე.

შუა ხიდზე

(დასასრული, იხ. „მათრახი“ № 26.)

ოპოზიცია ხომ ის დარგია,
რომელსაც სურდა მეუნარგია
თავით დაესვა სავარძელზედა
ეტირებია ნიკოსთვის დედა,
მარა იმათი მეუნარგია
თუმცა სასწავლი კაცი კარგია,
მოღვაწეც არის თავის რწმენაზე,
შოთაც კი სთარგმნა ფრანგულ ენა-
ხელ-მოჭერილიც უზომო არის, **ზე,**
შენახვაც უყვარს კასაში ფარის.
არც სხვა საქმეში იცნობენ ავათ*)
მაგრამ ეხლანდელ ქალაქის თავათ
მეტადრე ფოთში არ გამოდგება
თუმცა ჭოჭუა ვერ შეედრება.
მარა ჩვენ ვნახოთ პოზიციაში
ვინ უწერია ნიკოს სიაში,
ვინ არის მისი მორჩილი მონა
ან მისმა დარდმა ვინ დაალონა.
ესენი გახლავთ ერთობ ქებული
რევოლიონერ ხალხთა კრებული,
ხოლო ერთი აქვთ თვისება კარგი —
პოლიტიკაში იმათი ბარგი
რადგან მამალზეც აიკიდება
არც თვითონ უყვართ თავის დიდება.
ემორჩილება სუ-ყველა ბედსა,
მდაბლად იხრიან ნიკოს წინ ქედსა,
ელოდებიან რა მის ბრძანებას
თანხმობის ნიშნათ თავის ქანებას
ზოგჯერ წინ-და-წინ შეუდგებიან
სხვამ თუ რამე სთქვა ყელზე დგებიან.
ამ გვარათ ჩვენი თვით-მართველობა
და „პოზიციის“ სიმხნე-ქველობა
გამოიხატოს ნიკოში უნდა
"ოპოზიცია"-მც ებრძოლოს თუნდა.
ნიკოს პროგრამაც გავსინჯოთ ერთი
გაწუალობდეს წმინდა შავი ქვის ღმერთი

*) თუმცა მუშები დასანახავად....
იგულისხმება ხომ თავის-თავიდ.

კრიტიკას კიტა დაგვეხმარება
აქვე მიხასაც უნდა გარება,
ნიკოს გაუწყდეს აგი სამება
ჩვენ `არ დაგვჭირდეს ბევრი წამება
სულ ყველაფერი გვეცოდინება
ეშმაკსაც ძლიერ გაეცინება.
მაშ მოგვისმინე: პირველი არის
სრული ე̈ფლება „რასხოდი“ ფარის
სოფროში ცნობა საჭირო პირის
და მით დაძლევა იმ გასაჭირის
წმინდა გიორგმა რაც მიაყენა
რასაც ვერ მისწვდა **თვით კარსკის ენა.**
მეხლი მეორე სესხის აღება,
საქმის მოსაწყობ ხარჯის გაღება.
მოხთეს **იონას** დაუკითხავათ.
ხელი აწეროს წაუკითხავათ.
მესამე მუხლით, ურჩი პირები
თვით-მართველობის დამამცირები,
რომლებიც ნიკოს კრიტიკას ბედვენ
და მასთან ბრძოლას საჭიროთ ხედვენ,
ბრძოლის ნაყოფი იგემონ მწარეთ
ვინც უნდა იყოს მიბრძანდეს გარეთ.
შემდეგ **საფუთო გადასახადი**
შრომა და ხარჯი გადანახადი
უწინ ამაზე ძლიერ დიდია
თუმც ზოგიერთებს ფეხზე ჰკიდია,
რომ ეს არ იყოს შენი მტერია
ქალაქის კასას ჯვარი სწერია,
იქამც იყოს და შორ ქვეყნიელი
ხომ დავრჩებოდით ოხერ ტიელი?
პორტი, ტრამვაი, ელევატორი*)
გემნაზიები ერთი თუ ორი,
თან ამდენივე რიონზე ხიდი
წვრილი შკოლებიც სათავად მიდი,
დიდათ საჭირო მალთაყვის ხიდი
იქვე მამული ბანკით ნაყიდი,
ტყე და წყალი რომ ახლავს დიდი
მოსალოდნელი რიონის არხი
თუ დატრიალდა ზღაპრული ჩარხი,
„ეგნატეს ტბაში“ ნავთ საყუდელი,
კაპარჭინაში სამხედრო გემი,
ეწერო უნდა გამენდეს ბადათ
(ვაი ჭკუაზე თუ არ ვარ სადათ?)
არც ისე დიდი გასაკვირია
ნიკოს თავი და ფული სჭირია,
ფოთის კარტაზე ტერიტორია
პარიჟისაზე თითქო სწორია,
ასეთ ზღაპრული ქალაქის თავათ
თვინიერ ნიკოს გახთება ავათ

*) უკანასკნელის თუმცა მატორი ..?

მარა მუშები დემოკრატია
რომელიც ნიკომ განზე დატია.
მოსთქვამს აგრეთვე „Обзоръ“-ის
პრესა
ნიკო რომ მოსწყდა უწინდელ წრესა,
ეხლა ცენზორიც ურიდლათ არის
აღარ მოელის **შემტვრევა კარის.**
ბრწყინვალე ბრძოლის მაგიერ ეხლა
კიტა, იონა, მიხასან შეხლა,
ძველი მებრძოლი ჩაგრულთა მხა-
რეს
მუშების „ბუნტზე“ ცრემლებს ღვრის
ცხარეს,
შავ-ქვის გაფიცვას ძლიერ ძრახავ-
და
შიგ **„ლენის საფრთხეს„** დაინახავდა.
ქარხნის მუშებსაც ასწავლა ჭკუა
„იგინი ვინცხამ რომ მოატყუა“
„ნაპადელებსაც“ ურჩია ძმურა,
მარა „ერუ ხალხმა“ არ დაუჯერა,
გაფიცულ მუშებს არ დაეცილა
თავიანთ ებებში არ ირტყეს სილა,
ამიტომ არის ჩემო ერმალო
და ვარდის ბუჩქო ჩემო კაცია,
თქვენი არც ერთის მუშებს არ სჯერა
სწავლება არცა აგიტაცია
დემოკრატია წავა თავის გზით
ჯერ არჩევნებში არა აქვს ბინა,
უცდის და გასჭედს უკეთეს მერმისს
კმარა აქამდე რაც მოითმინა,
მარა ნიკოს რომ მისა ვერ დასძლევს
ყარდაშ ერმალო რამ შეგაშინა?

ოლმენ.

სცენის მოყვარენი

(იხ. „მათრახი“ № 26.)

XII

ვასილი, დიმიტრი, ცრუაძე, ვახ-
ტანგი და მაშიკო.

ვახტანგი. (ცრუაძეს) ოჰო! გამარჯობა შენი, ბატონო ცრუაძევ! საღ დაიკარგე, ?ე კაცო, განა ამდენი ტყუილი იქნება?!

მაშიკო. გვარიც რომ ზედ გამოჭრილია ცრუაძე!! ბეჩა რავა გეკადრება ამდენი ტყუილი.

ცრუაძე. თქვენ·ლა გაკლდათ ჩემზედ ლაპარაკი. მე მოველი მაგრამ თქვენ კი ყველანი არა ხართ აქ. რა ჩემი ბრალია, აქაც მე ვარ დამნაშავე?

ვასილი. (რომელიც აქამდის პიესას ეძებდა, მოუბრუნდება ცრუაძეს) დიახ შენი ბრალია ყველაფერი, შენ ძებნაში ხალხიც გამეპარა და პიესაც დავკარგე.

მაშიკო. როგორ თუ პიესა!

დიმიტრი. პიესა დაიკარგა.

ვახტანგი. ეგ-ღა გვაკლდა, ახლა მაგისთვის იცადე.

მაშიკო. მე არ შემიძლიან ამდენი ცდა, წავიდეთ ვახტანგ.

დიმიტრი. მოითმინეთ, ბატონო, მოითმინეთ.

ვასილი. თქვე დალოცვილო, ეკალზედ ხომ არა ზიხართ. მოითმინეთ! ფუ... დასწყევლოს ღმერთმა! არა, ეს პიესა სად-ღა დაიკარგა? ნეტა ვის უნდა ჰქონდეს?!

დიმიტრი. (ვასილს) შეიძლება სახლში დაგრჩა, გავგზავნოთ პორფილე.

ვასილი. (დიმიტრის) არა მგონია, მე შენთან მახსოვდა.

მაშიკო. Надоѣло мнѣ ждать, я ухажу

ვახტანგი. Въ самомъ дѣлѣ не будемъ же сидѣть до вечера!

ვასილი. ოხო, ღმერთო ჩემო! მოითმინეთ ბატონო, პორფილე მოვა და მოვატანინებ პიესას.

ცრუაძე. (ნიშნის მოგებით) ეხლაც მე ვარ დამნაშავე? (კულისებში მოისმის კოლიას ხმა) ილოდე პორფილე თუ მატყუილებ და პრისტავის როლი არ მათამაშეს, მაშინ ვაი შენი ბრალი. (პორფილეს ხმა) კი, ბატონო კი, შენ მობრძანდი, თვარა პრისტავი კი არა, თუ გინდა ღრუბერნატრი ითამაშე (შემოდიან).

XIII

იგინივე, პორფილე და კოლია.

პორფილე (ერთი ფეხით შემოასწრებს კოლიას და ვასილს უუბნება) მეეიყვანე ბატონო, მარა თუ პრისტავი არ ათამაშე ისტეელე გეიქცევა, რა გენაღვლება, შე კაცო ითამაშოს. თუ ამბობ, რომ პატარააო, სკამზე შევაყენოთ და იქიდან იქნიოს მათრახი. მეტი რა მოხელეა პრისტავი, მათრახია მისი ხელობა.

მაშიკო. (შეხედავს კოლიას) ოოო! გამარჯობა კოლია, სადა ხარ? სად დაიკარგე? какъ тебѣ не стыдно.

ვახტანგ. (კოლიას) შეგარცხვინოს ღმერთმა რომ როლისთვის იბუტები.

დიმიტრი. კაცო, ასე ცოტაზე უნდა გაჰყიდო საზოგადო საქმე?

ცრუაძე. ძალიან ესმის საზოგადო საქმის.

პორფილე. შე კაცო, შენ ვიღას დასცინი! აწი და ჯერე შენ თავზედ დეიხედე რომე შვიდ სიტყვაში ერთ მართალს არ იტყვის.

ცრუაძე. (წამოვარდება) გასო დაემეკარგე აქედან შე [illegible] შენა (დიმიტრი და ვახტანგი აშოშმინებენ).

ვასილი. კარგით ბატონებო, გეყოფათ ამდენი ჩხუბი, საქმეს შეუდგეთ.

კოლია. მე ისე არ დავიწყებ რეპეტიციას თუ პრისტავი არ მათამაშეთ.

ვასილი კი ბატონო, ითამაშე, ოღონდ კვირას როგორმე გავმართოთ წარმოდგენა. (პორფილეს) თუ კაცი ხარ წადი ჩემსას და მონახე, იქნება სტოლზედ იდოს პიესა და მოიტანე.

პორფილე იმე, ბატონო დევიღალე ამდენს მარბევინებთ. რავა მე კაცის ფეხები არა მაქვს თუ რაია ავი? პორფილე იქანე წადი, პორფილე, იგი მოიყვანე, პორფილე, იგი მოიტანე... მე ჩემ ფეხებზე დევიარები თვარა ველისიპედზედ კი არ ვჯდვარ. (მაშიკო და ვახტანგი ჩუმათ ლაპარაკობენ, კოლია გაბუტულივით ცალკე ზის).

დიმიტრი. კარგი, კმარა პორფილე, გეყოფა.

პორფილე. იმე, ბატონო, მართალა სულელი კი არ ვარ! რაცხა ოც მანათ ჯამაგირს მაძლევთ და კურიელცკი პოეზდივით მაქიანებთ დღეში ორას ვერს მე კი არა ორ-ტრუბიანი პარაოზი ვერ გააკეთებს.

ცრუაძე. მოსამსახურე ხარ, თვალი უნდა მოითხარო და ირბინო! აბა შენ ნუ მომიკვდე მუქთათ მოგართმევთ ჯამაგირს.

პორფილე. მომართმევე თვარა ჩამითვლი ასიანებს! შენი ხელიდან სულის კეკალი არ გავარდება, შენ მე რას მომცემ. შენ ნეტავი სხვას არ წააგლიჯო თვარა, მე შენი არაფერი მინდა.

ცრუაძე. (ცოფებსა ჰყრის) არა, შე მხეცო ვის რა წავართვი?

პორფილე. თუ კაცი ხარ და ბაზარში დღისით გეიარე, მეღამია სიტყვით რომ დეიარები ქუჩაში შუაღამისას.

ვასილი. პორფილე, კაი კაცო, რა დაგემართა აღარ გაჩუმდები?!

პორფილე. გავჩუმდები, ბატონო, მარა მაგას რა საქმე აქვს ჩემ ჯამაგირთან. თქვენ რომ მითხრათ კიდო ჰო.

დიმიტრი. კაცო, წადი მოიტა ის ვვრანა პიესა.

მაშიკო. Что за безобразіе сторожу позволятя подобные слова.

ყველანი. (წამოცვივდებიან) რა ამბავია პორფილე, რა დაგემართა წადი სადაც გგზავნიან.

პორფილე. (შეშინებული) კი ბატონო წავალ, რა გაეწყობა (გადის).

ცრუაძე. (დადის სცენაზედ ძალიან გაჯავრებული, უცებ მოუბრუნდება ვასილს) კაცო, ვინ სტოროჟი და ვინ ამ სიფართე ენა. მამა ნუ წემიწყდება ვასილ. რომ შენი ხათრი არა, მაგას აქავე ჩავაძაღლებდი.

დიმიტრი. კაცო, მაგას როგორ უნდა აჰყვე.

ვასილი. აბა რა მაგისი ტოლი ხარ. (მოისმის შორიდან იასონის სიმღერა, მთვრალის) გულ ამოსკვნილი ვჩიოდი სადა ხარ ჩემო სულიკო. (იასონის ხმა კულისებში) ეეე! ვინა ხართ, თუ ბიჭი ხარ და დამიდექი ვიღაც ვახტანგი ხარ მამაძაღლო.

მაშიკო. (ვახტანგს) წავიდეთ, შენი ჭირიმე, მთვრალია ძალიან და არა შეგვემთხვიოს რა

ვახტანგი. (იმედიანათ) როგორ თუ წავიდე, როგორ ვიღაც იასონს გავექცე!

კოლია. (ყოყოჩათ) რას ჰქვიან გავიქცეთ! როგორ მაგან რამდენიც დალიოს იმდენი მაგის ჭკვაზე უნდა ვიაროთ?

გ 158 / 1914 / 8

დიმიტრი. ოხო, ღმერთო, როგორ გაუძლოთ ამენ დავიდარაბას!

ვასილი. უსათუოდ ჩხუბს მოახდენს ისეთი მთვრალია.

კოლია. (სცდილობს შაში არ შეეტყოს და მაშიკოს თავი მოაწონოს, ჩხუბს მოახდენს რავა, ჩვენ კაცები არა ვართ!!

ვახტანგი. მოახდინოს, ბატონო, ჩვენც აგერ ვართ.

მაშიკო. Вахтангъ если, ты меня уважаешь, ნურაფერს ეტყვიდეე რაც უნდა ისა სთქვას. (ისმის იასონის ხმა) პორფილე, სად არის მაშიკო, იმისი კი ჭირიმე.

კოლია (ცმუკავს) არა, ამ სიტყვისთვის უსათუოდ უნდა მოვკლა.

ვახტანგი. (კოლიას) თქვენ არავინ გკითხავთ მაშიკოს გამოსარჩლებას

კოლია. ეგ მე და მაშიკომ ვიცით

ვახტანგი. (წამოწევს შემოსაკრავად) მე თქვენ გეუბნებით გაჩუმდით მეთქი.

ვასილი. (შუაში ჩავარდება) კარგით, კაცო, თქვენ მაინც გაჩუმდით, რომ იქნება იასონი დავაშოშმინოთ.

გოგია.

(დასასრული იქნება)

ხმა დაბა-სოფლებიდან.

ს. ზემო-აკეთი.

წმინდა გიორგის მოძღვარი
ვერ გაძლებს ერთი ცხვარი,
ჩაფით ღვინოს დაეწაფოს
არ დარჩება ერთი ცვარი.

უდიერათ ეპყრობა მრევლს
ვეღარ არის მხიარული,
კუჭი გაუგანიერდა
ვეღარ ყოფნის დრამის ფული.

ან-კი როგორ უნდა ეყოს
რომ არ მისცეს ნაღდათ ფული,
ჯაჭვ-თუნგ-კარდლის საწინდრებმა
შეუწუხ ს იმას გული.

მაგრამ ამ გვარ დაბრკოლებებს
გენიოსურ ჭკუით სძლია,
რადგან ჩვენში მიცვალებულს
თქმა არაფლის შეუძლია

და პატრონიც სტირის ამ დროს
სიმწუხრისგან უწუხს გული,
სამარეს მკვდარს მოანატრებს
თუ არ მიეც ბლომათ ფული.

ან და თუ გინდ ყმაწვილები
ღმერთმა ისე გააშტერა,
ცოლის თხოვა გადასწყვიტა
მასთან ჯვარი დაიწერა,

საქალამნე ტყავი აძვრეს
დღე დაადგეს ძლიერ ცუდი,
ამ საქმეში ვერ უშველის
ვერც კანონი, ვეღარც „სუდი“.

ისკანდერ.

მსახიობთა პროფესიონალური კავშირი.

(ოდეს დასრულდა ყრილობა იგი, ქართველ მსახიობთ საღერღელი აეშალათ მაგარი კავშირის შედგენის და მეორე დღეს გამართეს საკუთარი ყრილობა. ყრილობა ფრიად საინტერესო და მაგარი იყო, წ.რმოთქმული სიტყვები ფრიად მქუხარე და მაგარი და შეკრული კავშირი მეტად საუცხოვო და მაგარი. რაკი ასე სასიამოვნოთ დასრულდა მათი ყრილობა, კრებამ გადასწყვსტა გაემართა „საძმო სადილი“ მირინაშვილის გრძელ და ღრმა სარდაფში. გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანეს, სადილი გაიმართა მეტად ნოყიერი და მაგარი, ღვინო შთაინთქა მეტად გემრიელი და მაგარი და მაგარი თავებიც საგრძნობელად შეხურდა. სადილს შემდეგ მსახიობებმა გადასწყვიტეს რამდენიმე წუთი ტკბილ მასლაათში გაეტარებინათ ტიკჭორებთან ერთად.

გუნია. (წვალობს და ღვინო ვერ ჩამოუსხამს) ბიჭო ჭიპრო! ჭიპრო! ეს ღვინო რათ არ ჩამოდის აქედან. მოდი ცოტათი გასჭერი ტიკი. ეს ჩვენი კავშირის სადღეგრძელო იყოს! (სვამს).

იშხნელი. (ძლივს ლუღლუღებს) მე... გენერალი ვარ... თქვენ... ჩემი ჯარი.. სმირნოო! (იცინის და მიეძინება).

იმედაშვილი. (გულზე ხელს იცემს) გეტირათ დედა რეცენზენტებო! აბა ეხლა მოდით! (გულიანათ ილანძღება).

შალიკაშვილი. უი ბეჩა! (ნელ-ნელა ყველას მიეძინება).

მსახიობი.

ელექტრო-მბეჭდავი „შრომა“ მუხრანის ქ., № 12. რედაქტ-გამომც. თ. ბოლქვაძე,